1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის
დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 30 აგვისტო **№ 23** თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

135. 1941 წელს საქართველოს სსრ სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში ახალგაზრდობის დამატებით მიღების შესახებ.
136. ფოსტისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გადასატანად და მისატანად მოსახლეობის ფასიანი სავალდებულო შრომითი საჭაპანო ბეგარის შემოღების შესახებ.
137. საქართველოს სსრ საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

138. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის შვილების სწავლის ფასის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ.
139. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველად ამხ. ს. ს. როსტომაშვილის დანიშვნის შესახებ.
140. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამართველოს ლიკვიდაციისა და მისი ფუნქციების საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.
141. ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 4 სექტემბრის დადგენილების შეცვლის შესახებ.
142. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. შ. ო. წერეთლის დანიშვნის შესახებ.
143. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ვ. ა. ქაქუჩაიას დანიშვნის შესახებ.
144. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ა. ი. გუგუჩიას დანიშვნის შესახებ.
145. საქართველოს სსრ შანაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ი. ნ. გუჯაბიძის დანიშვნის შესახებ.
146. ქ. ქ. ბორჯომსა და ფოთში საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის განყოფილებების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბანკის რწმუნებულის პუნქტის დროებით დახურვის შესახებ.
147. ლოპოტის მარმარილოს საბადოს მარმარილოს დაფების გასაცემი ფასების შესახებ.
148. ომიანობის დროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ფართობის შენახვისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის წესის შესახებ.

F556

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

135. **1941 წელს საქართველოს სსრ სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში ახალგაზრდობის დამატებით მიღების შესახებ.**

„1941 წელს საქართველოს სსრ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 6 მაისის № 823 დადგენილების დასამატებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. 1941 წლისათვის დაწესებული კონტინგენტი სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევისა 3050 კაცი გადიდდეს 1450 კაცით და აყვანილ იქნას 4500 კაცამდე, მათ შორის: 14, 15, 16 წლის ასაკის მამრობითი სქესის ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობა და 15, 16, 17 წლის ასაკის ნებაყოფლობით მიღებული ქალიშვილები.

1450 კაცის დამატებითი მიღება გატარდეს შემდეგი ქალაქების ახალგაზრდობის რიცხვიდან: ქალაქი თბილისი—1195 კაცი, ქალაქი ბათუმი—75 კაცი, ქ. სტალინირი—80 კაცი, ქ. ბორჯომი—70 კაცი და ქალაქი წულუკიძე—30 კაცი.

მდედრობითი სქესის ახალგაზრდობის მიღება ჩატარდეს განუსაზღვრელი რაოდენობით, ნებაყოფლობითი მიღების წესით (დაწესებული კონტინგენტის ფარგლებში).

2. სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის დამატებითი გაწვევა (მობილიზაცია) და ნებაყოფლობითი მიღება დამთავრდეს 1941 წლის 1 აგვისტოსათვის.

3. დამტკიცდეს სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში პროფესიების მომზადებისა და მოსწავლეთა განაწილების გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს მიერ.

4. სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში დამატებით მისაღები 1.450 კაცის გასანაწილებლად:

ა) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს (ამხ. ჩხეიძეს) შექმნას მეორე სარკინიგზო სასწავლებელი ქალაქ თბილისში (ბებელის მოედანზე № 3).

დაევალოს ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს 1941 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველჰყოს № 2 სარკინიგზო სასწავლებლის საამქროებისათვის საჭირო სადგომების გაფართოვება და რეკონსტრუქცია;

ბ) დაევალოს აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს (ამხ. ფუტკარაძეს),

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ამხ. კოლამაზაშვილს), საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. რუხაძეს), საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ჩიბურდანიძეს) 1941 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველჰყონ საჭირო სამუშაოების დამთავრება სახელოსნო სასწავლებლებისათვის გადაცემულ შენობებში (სამზარეულოების აშენება, სადგომების გადაკეთება სასადილოებად);

გ) ქ. წულუკიძეში სახელოსნო სასწავლებლის გაფართოვების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ხოშტარიას) გაანთავისუფლოს და 1941 წლის 15 აგვისტომდე შრომითი რეზერვების სამმართველოს გადასცეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამხმარე შენობები, რომლებიც ქ. წულუკიძის სახელოსნო სასწავლებლის ტერიტორიაზე მდებარეობენ. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა შრომითი რეზერვების სამმართველოს იმავე ვადაში გადასცეს ქ. წულუკიძის სახელოსნო სასწავლებლის მესამე სართული, რომელიც პედაგოგიური ტექნიკუმის ლაბორატორიას და სასპორტო დარბაზს უჭირავს.

5. დაევალოს ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის უფროსს (ამხ. კიკნაძეს) უზრუნველჰყოს სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში გაწვეული ახალგაზრდობის გადაყვანა რკინიგზით, აგრეთვე სასწავლებლებისათვის საჭირო სასწავლო-საწარმოო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანისამოსის გადაზიდვა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს (ამხ. ჩხეიძეს) 1 აგვისტომდე დაამზადოს სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში მოსწავლეთა ახალი მიღებისათვის საჭირო რაოდენობის ინსტრუმენტები და უზრუნველჰყოს მეცადინეობის დაწყება ყველა სასწავლებელში 1941 წლის 1 აგვისტოდან.

საქ. სსრ ს. კ. ს—ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 26 ივლისი № 1372.
თბილისი.

---

136. ფოსტისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გადასატანად და მისატანად მოსახლეობის ფასიანი სავალდებულო შრომითი საჭაპანო ბეგარის შემოღების შესახებ.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 20 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წითელ არმიაში წერილებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გადაზიდვის და გაგზავნის საქმის რადიკალურად გაუმჯობესებისა და საფოსტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, შემოღებულ იქნას 1941 წლის 22 აგვისტოდან მოსახლეობის სავალდებულო ფასიანი შრომითი საჭაპანო ბეგარა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებისა და ფოსტის შეუფერხებელი გადატანა და მიტანა ყველა რესპუბლიკურ, შიდასაოლქო და შიდასარაიონო საფოსტო ტრაქტებზე.

2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს და ყველა რაიონულ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მათი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ საჭაპანო ტრანსპორტის შეუფერხებლივ გამოყოფა ფოსტისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გადასაზიდავად, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების განაცხადების მიხედვით.

3. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში უზრუნველჰყოს ფოსტის გადაზიდვის საფასურის დროზე ანაზღაურება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნორმების თანახმად.

ᲡᲥ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 20 აგვისტო № 1509.
თბილისი.

---

137. საქართველოს სსრ საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების შესახებ.

საქართველოს სსრ საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა უკეთესი სამხედრო-ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გადიდდეს საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის საათების რაოდენობა მე-VIII კლასში—3 საათამდე კვირაში, IX და X კლასებში—4 საათამდე თითოეულში.

2. მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის საათების გადიდება მოხდეს სხვა დისციპლინებში საათების რიცხვის შემცირების ხარჯზე:

ა) ქართულ სკოლებში: VIII კლასში—ისტორიისა და გეოგრაფიის ხარჯზე თითო საათი, IX კლასში—ქართული ლიტერატურის, ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის ხარჯზე თითო საათი და X კლასში—ისტორიის, გეოლოგიისა და მინერალოგიის ხარჯზე თითო საათი კვირაში;

ბ) რუსულ სკოლებში: VIII კლასში—ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის ხარჯზე თითო საათი; IX კლასში—რუსული ლიტერატურის, ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიისა და ბუნებისმეტყველების ხარჯზე თითო საათი და X კლასში—ისტორიის, გეოლოგიისა და მინერალოგიის ხარჯზე თითო საათი კვირაში;

გ) აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ სკოლებში: VIII კლასში—ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის ხარჯზე თითო საათი; IX კლასში—ბუნებისმეტყველების, ისტორიისა და ფიზიკის ხარჯზე თითო საათი და X კლასში—მშობლიური ლიტერატურის, ისტორიისა და გეოლოგია-მინერალოგიის ხარჯზე თითო საათი კვირაში.

3. ვაჟებისა და ქალების სამხედრო მომზადება ჩატარდეს ცალ-ცალკე, რისთვისაც გაერთიანებულ იქნას ორ-ორი კლასი.

4. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებს სამხედრო-ფიზკულტურული და სამხედრო-სანიტარული დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების შერჩევაში.

5. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა მოაწყოს რაიონულ ცენტრებში მოკლევადიანი სემინარები სამხედრო საქმისა და ფიზკულტურის მასწავლებელთათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 27 აგვისტო № 1553.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

138. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის შვილების სწავლის ფასის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 2 ივლისს „წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის შვილების სწავლის ფასისაგან განთავისუფლების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 16, მუხ. 311) გამოტანილ დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნან 1941 წლის 1 ივლისიდან საშუალო სკოლების 8—10 კლასებსა, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ფასის გადახდისაგან წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის რიგებში გაწვეული რიგითი და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის შვილები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 9 ივლისი № 1267.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

139. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველად ამხ. ს. ს. როსტიაშვილის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სერგო საველის-ძე როსტიაშვილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 14 ივლისი № 1291.
თბილისი.

---

140. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ლიკვიდაციისა და მისი ფუნქციების საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო და მისი მთელი ფუნქციები საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვის, შემდგომი განვითარებისა და ექსპლოატაციის დარგში გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

2. გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ყველა საწარმო, მატერიალური ღირებულებანი და ქონება 1941 წლის 1 ივლისისათვის არსებული ბალანსის მიხედვით.

3. საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისადმი ხელმძღვანელობის განსახორციელებლად, ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეების მთავარი სამმართველო (მთავკურორტტყემეურნეობა).

დამტკიცდეს მთავკურორტტყემეურნეობის შტატი 1941 წლისათვის $18^1/_2$ ერთეულის რაოდენობით.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაადიდოს ცენტრალური აპარატის შტატი, რომელიც დამტკიცებულია 1941 წლისათვის: ტრესტ საქტყედამზადების ხაზით—2 კაცით და საქმთავტყემეურნეობის ხაზით—1 ერთეულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჩიბურდანიძეს 5 დღის ვადაში დაამტკიცოს დებულება საკურორტო მნიშვნელობის ტყეების მთავარ სამმართველოს შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს ხუთი დღის ვადაში შეიტანოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1941 წლის საფინანსო გეგმაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 24 ივლისი № 1353.
თბილისი.

---

141. ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 4 სექტემბრის დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 4 სექტემბრის № 1542 დადგენილების შესაცვლელად და ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის იმ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ 1938 წლის 21 აგვისტოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს რაიონების 1 ჯგუფს, რომლებისთვისაც გადასახადის განაკვეთი ერთ ცხენზე დაწესებულია 275 მანეთი და ყოველ შემდეგ ცხენზე, ერთი სულის გარდა,—450 მანეთი, საქართველოს სსრ შემდეგი რაიონები: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, ყაზბეგისა და ქვემო-სვანეთის.

2. მიეკუთვნოს რაიონების მე-2 ჯგუფს, რომლებისთვისაც ერთ ცხენზე გადასახადის განაკვეთი დაწესებულია 350 მანეთი და ყოველ შემდეგ ცხენზე, ერთი სულის გარდა,—550 მანეთი, საქართველოს სსრ შემდეგი რაიონები: აბაშის, ამბროლაურის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ბორჩალოს, ვანის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ყარაიას, ქარელის, კასპის, ყვარელის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, ფოთის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, თბილისის, თელავის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ტყიბულის, ხაშურის, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წყალტუბოს, ცხაკაიას, წულუკიძის, ჭიათურის, ჩოხატაურის, ჩხარის და ჩხოროწყუს.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საბჭოს აღმასკომს, ამ დადგენილების შესაბამისად, მიაკუთვნონ რაიონები ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე გადასახადის განაკვეთების მხრივ 1 და მე-2 ჯგუფებს.

4. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის სწორად გატარება და ამ სახსრების შემოსვლა ბიუჯეტში დაწესებული ვადისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 30 ივლისი № 1391.
თბილისი.

---

142. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. შ. ო. წერეთლის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. შალვა ოთარის-ძე წერეთელი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 9 აგვისტო. № 1453.
თბილისი.

---

143. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ვ. ა. ქაქუჩაიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვარლამ ალექსანდრეს-ძე ქაქუჩაია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 9 აგვისტო № 1454.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

144. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ა. ი. გუგუჩიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ილარიონის ძე გუგუჩია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 9 აგვისტო. № 1455.
თბილისი.

---

145. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ი. ნ. გუჯაბიძის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ილია ნიკოლოზის-ძე გუჯაბიძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ მილიციის დარგში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი**

1941 წ. 9 აგვისტო № 1456.
თბილისი.

---

146. ქ. ბორჯომსა და ფოთში საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის განყოფილებების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბანკის რწმუნებულის პუნქტის დროებით დახურვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ოპერაციების მოცულობის მნიშვნელოვნად შემცირებასთან დაკავშირებით, ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს დროებით დახუროს კომუნალური ბანკის განყოფილებანი ქ. ბორჯომსა და ფოთში, აგრეთვე ბანკის რწმუნებულის პუნქტი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ამასთა-ამ ქალაქებში კომუნალური ბანკის ოპერაციები გადაეცეს სახბანკის განყოფილებებს.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სათანადო ცვლილება შეიტანოს საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ხარჯთაღრიცხვაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 11 აგვისტო № 1461.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

147. ლოპოტის მარმარილოს საბადოს მარმარილოს დაფების გასაცემი ფასის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დროებითი გასაცემი ფასი ლოპოტის მარმარილოს საბადოს მარმარილოს დაფებისა, რომლებსაც კომბინატი „საქმარმარილო" ამზადებს, 470 მანეთის რაოდენობით ერთ კვადრატულ მეტრში ფრანკო-ქარხანა ქ. თბილისში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 20. აგვისტო № 1507.
თბილისი.

---

148. ომიანობის დროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ფართობის შენახვისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის წესის შესახებ.

„ომიანობის დროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ფართობის შენახვისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის წესის შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 5 აგვისტოს გამოცემული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 17, მუხ. 342) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ომიანობის დროს წითელი არმიის რიგებსა, სამხედრო-საზღვაო ფლოტში და შინსახკომის ჯარებში მყოფ ყველა პირს შეენახება მათი საცხოვრებელი ფართობი.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი ფართობი ჩაუსახლებელი რჩება, ამ ფართობის ბინის ქირა არ გადახდება.

3. ომიანობის დროს ბინის ქირა წითელი არმიის რიგებსა, სამხედრო-საზღვაო ფლოტში და შინსახკომის ჯარებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

ა) რიგითი და უმცროსი თავმდგომთა შედგენილობის პირთა ოჯახებისათვის, თუ ოჯახის შემადგენლობაში არ არიან დამუკიდებელი შემოსავლის მქონე პირები და ოჯახი მარტო სახელმწიფო დახმარებას ღებულობს, ბინის ქირა გამოიანგარიშება დახმარების იმ თანხის მიხედვით, რომელიც ოჯახის ყოველი არაშრომისუნარიან წევრის წილად ხვდება;

ბ) საშუალო, უფროსი და უმაღლესი თავდგომთა შედგენილობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, თუ ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე პირები, ბინის ქირა გადახდებათ შეღავათიანი განაკვეთებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დაწესებულია სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1936 წლის 17 აპრილის № 53/736 დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 21, მუხ. 186) და საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის № 189/1798 დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 2, მუხ. 16).

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულმა სამხედრო მოსამსახურეებმა არ წარმოადგინეს სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებათა მიერ გაცემული ცნობები ხელფასის რაოდენობის შესახებ, ბინის ქირა გამოიანგარიშება სამხედრო მოსამსახურეთათვის საშუალო შეღავათიანი განაკვეთის მიხედვით თვიურად 65 კაპიკის რაოდენობით ერთ კვადრატიულ მეტრში, რაც შემდგომ, ცნობის მიღების შემდეგ გადაანგარიშებულ უნდა იქნას;

გ) როგორც რიგითი, ისე თავმდგომთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, თუ ოჯახში არიან დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე პირები, ბინის ქირა გამოიანგარიშება ამ ოჯახის წევრის უმაღლესი შემოსავლის მიხედვით;

დ) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ბინის ქირის გამოანგარიშების დროს გამოირიცხება ის საცხოვრებელი ფართობი, რომელიც თვით სამხედრო მოსამსახურის წილად მოდის.

4. დროებითი მდგმურები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის ფართობში ჩასახლდნენ, მოვალენი არიან სამხედრო მოსამსახურის დაბრუნებისთანავე დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მდგმურები გამოსახლებულ უნდა იქნან ადმინისტრაციული წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

დროებით მობინადრეებს ბინის ქირა გადახდებათ საერთო საფუძველზე.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუფარდონ ამ დადგენილებას მათ მიერ ამ საკითხზე გამოცემული დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 25 აგვისტო № 1543.
თბილისი.

3/55

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 1702. ტირაჟი 1600.